Тбилисский филиал Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП (б)

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1939 წ. ნოემბრის 25 № 21 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

89. 1940 წ. სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების გატარების წესის თაობაზე სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1939 წ. 17 სექტემბერს მიღებული დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

90. ავტომანქანებზე არასათანადო ზომის რეზინის გამოყენების აკრძალვის შესახებ.

91. 1940 წლისათვის ხელშეკრულებათა დადების შესახებ.

92 1—2 მაისის, 7—8 ნოემბრის, 5 დეკემბრისა და 22 იანვრის დღეებში საწარმოთა მუშაობის შესახებ.

93. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

89. 1940 წ. სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების გატარების წესის თაობაზე სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1939 წ. 17 სექტემბერს მიღებული დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წ. 8 ივლისის დადგენილებისა „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 42, მუხ. 316) და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წ. 17 სექტემბრის დადგენილებისა „1940 წ. სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების გატარების წესის შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს საქართველოს სსრ-ში კოლმეურნეობების, საკოლმეურნეო კომლების, ერთპიროვნული მეურნეობებისა და მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების შემდეგი კალენდარული ვადები წლიური ნორმის პროცენტობით: პირველი კვარტალი—30%, მეორე კვარტალი—15%, მესამე—25% და მეოთხე კვარტალი—30%.

2. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს, დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაიონწმუნებულებს და რაიმიწგანებს ფართოდ განუმარტონ კოლმეურნეობებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წ. 17 სექტემბრის დადგენილება, რომლის თანახმადაც:

ა) კოლმეურნეობებს, საკოლმეურნეო კომლებს, ერთპიროვნულ მეურნეობებსა და მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობებს მინიჭებული აქვთ უფლება—ხორცის ჩაბარების ვალდებულებანი შეასრულონ ყოველგვარი სახის პირუტყვითა და ფრინველით, გარდა კოლმეურნეობათა იმ ვალდებულებისა, რომლებიც ღორების ჩაბარებას შეეხება.

თითოეული კოლმეურნეობის მიერ სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების ანგარიშში ღორების ჩაბარების ოდენობას აწესებენ სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაიონული რწმუნებულები საქ. სსრ-ში, ავტონომიური რესპუბლიკებისა, ავტონომიური ოლქისა და რაიონების მიხედვით ღორების ჩაბარების იმ ოდენობის შესაბამისად, რომელიც დაწესებულია სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის მიერ.

ხორცის მიწოდების ანგარიშში ღორების ჩაბარების ვალდებულებანი არ ვრცელდება იმ კოლმეურნეობებზე, რომელთათვისაც მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმით არ არის გათვალისწინებული მეღორეობა.

ბ) კოლმეურნეობების, საკოლმეურნეო კომლების, ერთპიროვნული მეურნეობებისა და მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობების ვალდებულებათა შესრულებაში ცოცხალი წონის ერთ კილოგრამში, რაც აღნიშნულია ვალდებულებაში, ჩაითვლება (ცოცხალი წონის გრამობით):

ღორები საქონე. 800
ღორები ნახევრადსაქონე. და საშამხე 850
ღორები სახორცე 75 კლგრ. და მეტი 900
ღორები სახორცე 50 კლგრ.-დან 75 კილოგრამამდე 1.000
ცხვრები დუმიანი მსუქანი 850
მსხვილფეხა პირუტყვი, ცხვარი, თხა მსუქანი, დუმიანი ცხვარი
საშუალოზე მეტი სიმსუქნისა 900
მსხვილფეხა პირუტყვი, ცხვარი, თხა საშუალოზე მეტი სიმსუქნისა 950
მსხვილფეხა პირუტყვი, ცხვარი. თხა საშუალო სიმსუქნისა . . . 1.000
ქათამი, ბატი, იხვი, ინდაური 700
ბაჭია 800
მსხვილფეხა პირუტყვი, ცხვარი, თხა საშუალოზე ნაკლები სიმსუქნისა 1.200

მსხვილფეხა პირუტყვი, ცხვარი და თხა საშუალოზე ნაკლები სიმსუქნისა კოლმეურნეობებისაგან არ მიიღება.

გოჭები და ბურვაკები წონით 30 დან 75 კილოგრამამდე კოლმეურნეებისა, ერთპიროვნული მეურნეებისა, მუშებისა და მოსამსახურეებისაგან მიიღება კილოგრამი კილოგრამში;

ბ) ხორცის ჩაბარების ანგარიშში კოლმეურნეობებისაგან, კოლმეურნეებისაგან, ერთპიროვნული მეურნეობებისაგან და მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობებისაგან არ მიიღება მჭლე პირუტყვი, ფრინველი და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეული საშუალოზე ნაკლები სიმსუქნისა, აგრეთვე:

	კოლმეურნეობებისაგან	კოლმეურნეებისა, ერთპიროვნული მეურნეებისა და მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობებისაგან
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ცოცხალი წონით	100 კილოგრ.	50 კილოგრ.
ღორები ცოცხალი წონით	50 კილოგ ზე ნაკლები	30 „
ცხვრები	20 კილოგრ.	16 „
ბატები	3 „	3 „
ინდაურები	2 „	2 „
ბაჭიები	1 „	1 „
იხვები	1 „	1 „
ქათმები	08 „	08 „

ხორცის ჩაბარების ანგარიშში მისაღები პირუტყვისა და ფრინველის მინიმალური წონა გამოირკვევა მას შემდეგ, რაც ცოცხალ წონას გამოაკლდება კუჭნაწლავების ტრაქტში მოთავსებული ნივთიერების წონა 3%.

დ) აკრძალულია ხორცის ჩაბარების ანგარიშში ისეთი ძროხების მიღება კოლმეურნეობებისაგან, რომლებიც სიმაკის მეორე პერიოდში იმყოფებიან, ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ წარმოდგენილი არ იქნება დადგენილი წესით შემდგარი აქტი დაწუნების შესახებ. მაკე პირუტყვი მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი იქნა დაწუნების აქტი ცოცხალი წონიდან 10% გამოკლებით (გარდა კუჭ-ნაწლავების ტრაქტში მოთავსებული ნივთიერების წონისა—3%-სა).

3. დაწესდეს საქართველოს სსრ-ში სახელმწიფო მიმღებ პუნქტებზე პირუტყვის მიყვანის რადიუსი—30 კილომეტრი.

დაევალოს საქ. სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს არაუგვიანეს 1940 წლის 1 იანვრისა მოაწყოს 25 დამატებითი მიმღები პუნქტი, რაც რაიონების მიხედვით გაანაწილოს, თანახმად თანდართული სიისა.

4. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისარიათა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს და დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაირწმუნებულებს მტკიცედ გაატარონ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წ. 17 სექტემბრის დადგენილება, რომლის მიხედვითაც:

ა) ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, აგრეთვე დამამზადებელ ორგანიზაციებს აკრძალული აქვთ მისცენ კოლმეურნეობებს, საკოლმეურნეო კომლებს, ერთპიროვნულ მეურნეობებსა და მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობებს დამატებითი ან შემხვედრი გეგმები სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების შესახებ, ხოლო წესიერი ჩამბარებლებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იქნას სრული შესაძლებლობა თავისუფლად მოიხმაროონ ზედმეტი პირუტყვი თავიანთი შეხედულებით;

(ბ კოლმეურნეობებს არა აქვთ უფლება გაჰყიდონ პირუტყვი, კერძოდ, მანამ, ვიდრე არ შეასრულებენ ხორცის ჩაბარების საკვარტალო ვალდებულებებს;

გ) კოლმეურნეობებს, რომლებიც სახელმწიფო შესყიდვის წესით სახელმწიფოს მიჰყიდიან ხორცს მათ მიერ ხორცის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულების შემდეგ, მიეცემათ პრემია—მომქმედი შესასყიდი ფასის წანამატი შემდეგი ოდენობით:

როდესაც მიჰყიდიან	10-დან	20	ცენტნერამდე	ხორცს	—20%
„ „	21 „	40	„	„	—30%
„ „	41 „	50	„	„	—40%
„ „	51	და მეტს	„	„	—50%

5. უფლება მიეცეს იმ კოლმეურნეობებს, საკოლმეურნეო კომლებს, ერთპიროვნულ მეურნეობებსა და მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობებს, რომლებმაც სავსებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების მიმდინარე წლის ვალდებულებანი, ვადამდე ჩააბარონ ხორცი შემდეგი წლის წლიური ვალდებულების ანგარიშში, ამასთან კოლმეურნეობათა მიერ ავანსად ჩაბარებული პირუტყვი ჩაითვალოს მეცხოველეობის განვითარების გეგმის შესრულებაში.

6. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, ყველა რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს, სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში და საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს 1939 წლის ხორცის ჩაბარების წლიური გეგმის მთლიანად შესრულების უზრუნველყოფასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთად ყოველნაირად გააძლიერონ პირუტყვის ავანსად ჩაბარება 1940 წლის წლიური ვალდებულების ანგარიშში, ამასთან განმარტონ, თუ რა უპირატესობა აქვს პირუტყვის ჩაბარებას IV კვარტალში.

7. დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში გაანაწილოს ცალკეულ რაიონებს შორის 1940 წელს ხორცის სავალდებულო მიწოდების ანგარიშში კოლმეურნეობათა მიერ 700 ტონა ღორების ჩაბარების გეგმის პროექტი იმ წესით, რაც აღნიშნულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წ. 17 სექტემბრის დადგენილების მე-2 მუხლში და 1939 წ. 25 ნოემბრისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წარმოუდგინოს ამ გეგმის განაწილება საბოლოო ანგარიშთან ერთად.

8. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში დაუყოვნებლივ შეუდგეს 1940 წელს კოლმეურნეობების, საკოლმეურნეო კომლებისა, ერთპიროვნული მეურნეობებისა და მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ხორცის მიწოდების ვალდებულებათა ჩაბარებას და ვალდებულებათა ჩაბარება დაამთავროს 15 ნოემბრისათვის.

დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში 1939 წ. 25 ნოემბრისათვის წარმოადგინოს დასკვნითი ანგარიში 1940 წ. სახელმწიფოსათვის ხორცის მიწოდების ვალდებულებათა ჩაბარების შესახებ.

9. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და ყველა რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს უზრუნველჰყონ სასოფლო საბჭოების სამეურნეო წიგნების მოყვანა წესრიგში და პრაქტიკული დახმარება გაუწიონ დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაირწმუნებულებს იმ მხრივ, რომ განახორციელონ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წ. 8 ივლისის დადგენილება „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ და, კერძოდ, ამ დადგენილების კარი მე-III ხორცის ჩაბარების შესახებ და მიაღწიონ ხორცის ჩაბარების ოდენობის სწორად გამოანგარიშებას კოლმეურნეობებზე მიმაგრებული მიწის ფართობიდან (სახნავი მიწები, მათ შორის ბაღები და ბოსტნები, მდელოები და საძოვრები).

10. დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში ყოველ ხუთ დღეში მიაწოდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ინფორმაცია ხორცის მიწოდების ვალდებულებათა ჩაბარების მიმდინარეობის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1939 წ. ოქტომბრის 10. № 1937.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ი ა

ხორცის მიმღები დამატებითი პუნქტებისა.

რაიონების დასახელება	რაოდენობა
1. ასპინძის	1
2. ბორჯომის	1
3. წითელწყაროს	1
4. თელავის	1
5. ლაგოდეხის	1
6. ბორჩალოს	1
7. დუშეთის	1
8. ალბულახის	1
9. საგარეჯოს	1
10. ბაშკიჩეთის	1
11. ლენინგორის	1
12. სტალინირის	1
13. ჯავის	1
14. ქუთაისის	1
15. ორჯონიკიძის	1
16. ტყიბულის	1
17. ცაგერის	1
18. წალენჯიხის	1
19. სუხუმის	2
20. ოჩემჩირის	2
21. გუდაუთის	1
22. ქობულეთის	1
23. ჩ უ ლ ო ს	1
ს უ ლ	25 პუნქტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

90. ავტომანქანებზე არასათანადო ზომის რეზინის გამოყენების აკრძალვის შესახებ.

იმის გამო, რომ უკანასკნელ დროს ფართოდ გავრცელდა სატვირთო ავტომობილებისათვის დანიშნული რეზინის გამოყენება მსუბუქ ავტომობილებზე, რაც იწვევს ავტომანქანების ნაადრევად გაცვეთას და საწვავი მასალის დიდძალი რაოდენობის ხარჯვას, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აეკრძალოს ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციას სატვირთო ავტომობილებისათვის დანიშნული ავტოსაფარების გაკეთება მსუბუქი ავტომანქანებისათვის, აგრეთვე „გაზ" მსუბუქი ავტომანქანებისათვის დანიშნული რეზინის გამოყენება „მ-1" ავტომობილებზე.

2. გაფრთხილებულ იქნან ყველა დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელები, რომ ავტომანქანებზე არასათანადო ზომის რეზინის გამოყენებისათვის მათ დაედებათ მკაცრი სასჯელი.

3. ამ დადგენილების შესრულებისათვის თვალყურის დევნება დაეკისროს საქართველოს სსრ შინსახკომის მუშურ-გლეხური მილიციის სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1939 წ. ოქტომბრის 10. № 1940.
თბილისი.

---

91. 1940 წლისათვის ხელშეკრულებათა დადების შესახებ.

1940 წლისათვის ხელშეკრულებათა თავის დროზე დადებისა და მათი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ყველა სახალხო კომისარიატს, ცეკავშირს, სარეწაო საბჭოსა და ცენტრალურ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს უზრუნველჰყონ სამეურნეო ხელშეკრულებათა დადება 1940 წლისათვის იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 8 ოქტომბრის დადგენილებით.

2. წლიურ ხელშეკრულებათა დადება 1940 წლისათვის უნდა დამთავრდეს შემდეგ ვადებში:

ა) ხელშეკრულებანი ფართო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ—არაუგვიანეს 1939 წლის 20 დეკემბრისა;

ბ) ხელშეკრულებანი საწარმოო-ტექნიკური მოწყობილობის საგნების მიწოდების შესახებ—არაუგვიანეს 1940 წლის 20 იანვრისა;

გ) ხელშეკრულებანი წყლის ტრანსპორტით ტვირთის გეგმიანი გადაზიდვის შესახებ და მთავარი შეთანხმებანი ტვირთების გადაზიდვის შესახებ—არაუგვიანეს 1940 წლის 20 თებერვლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. კაპიტალური მშენებლობის საიჯარო ხელშეკრულებათა დადება მთავრდეს:

გარდამავალი მშენებლობის ხაზით — არაუგვიანეს 1940 წლის 1 თებერვლისა;

ახლადდაწყებული მშენებლობის ხაზით — არაუგვიანეს 1940 წლის 1 მარტისა

4. დაევალოს სახალხო კომისარიატებს, ცეკავშირს, სარეწაო საბჭოს და საქართველოს სსრ ცენტრალურ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს არაუგვიანეს 15 ნოემბრისა აცნობონ სათანადო ორგანიზაციებსა და საწარმოებს სახელმძღვანელოდ 1940 წელს საქონლის მიწოდების ის ძირითადი პირობები. რომლებზედაც არ გავრცელდება მიწოდების საერთო საკავშირო პირობები.

5. დაწესდეს, რომ რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის პროდუქცია, მათ შორის სარეწაო საბჭოს, საქკოოპინკავშირის, საქსარეწტყეკავშირის პროდუქციაც, რომელთა — გასაღებასაც არ გეგმავენ საერთო — საკავშირო ორგანოები, რეალიზებულ უნდა იქნას განაწილების დამტკიცებული გეგმის მტკიცედ შესაბამისად.

6. აეკრძალოს უკლებლივ ყველა ორგანიზაციას, დაწესებულებებსა და საწარმოებს ისეთ ხელშეკრულებათა დადება, რომელთა შესრულებაც შემხვედრ ტვირთზიდვას იწვევს.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს, კოოპერატიულ ცენტრებსა და ცენტრალურ დაწესებულებებს წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 15 დღიური ანგარიშგება 1940 წლისათვის ხელშეკრულებათა დადების მიმდინარეობის შესახებ იმ ფორმის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს 1939 წლის 11 ოქტომბრის № 10—797 ბრძანებით. ამასთან პირველი ანგარიშგება შედგენილ უნდა იქნას 1939 წლის 5 დეკემბრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით, მეორე ანგარიშგება — 20 დეკემბრის მდგომარეობის მიხედვით და სხვ.

8. 1940 წლის ხელშეკრულებათა თავის დროზე და სწორად დადებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროს:

აფხაზეთის და აჭარის ასსრ სა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეებს.

რესპუბლიკური ქვემდებარეობის სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში — სათანადო სახალხო კომისრებს, რესპუბლიკური კოოპერატიული ცენტრებისა და სხვა ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავარ არბიტრს უზრუნველჰყოს წინასახელშეკრულებო დავის თავის დროზე განხილვა და დაევალოს მას ხელშეკრულებათა დადების ზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევები აცნობოს ზემდგომ ორგანიზაციებს დამნაშავე ორანამდებობის პირთა მისაცემად პასუხისგებაში.

10. ყოველივე იმის მიმართ, რაც ამ დადგენილებით არ არის გათვალისწინებული, 1940 წლისათვის ხელშეკრულებათა დადებისა და ამ ხელშეკრულებათა შესრულების დროს სახელმძღვანელოდ მიღებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 29 სექტემბრის № 1275 და 1939 წლის 8 ოქტომბრის № 1648 დადგენილებანი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1939 წ. ნოემბრის 4. № 2114.
თბილისი.

---

92. **1—2 მაისის, 7—8 ნოემბრის, 5 დეკემბრისა და 22 იანვრის დღეებში საწარმოთა მუშაობის შესახებ.**

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წ. 31 ოქტომბრის № 1808 დადგენილებისა „1—2 მაისის, 7—8 ნოემბრის, 5 დეკემბრისა და 22 იანვრის დღეებში საწარმოთა მუშაობის შესახებ", საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დართულ იქნას მუშაობა 1—2 მაისის, 7—8 ნოემბრის, 5 დეკემბრის და 22 იანვრის დღეებში განუწყვეტლივ მომქმედ საწარმოებში, რომლებშიაც მუშაობის შეწყვეტა შეუძლებელია საწარმოო-ტექნიკური პირობების ან მოსახლეობის საჭიროების მომსახურების აუცილებლობის გამო.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ყველა სახალხო კომისარიატსა და ცენტრალურ დაწესებულებას შეიმუშაონ და სათანადო პროფესიულ კავშირთა ცენტრალურ გამგეობებთან ერთად დაამტკიცონ იმ საწარმოებისა და საამქროების სიები, რომლებშიაც ნებადართულია მუშაობა 1 და 2 მაისს, 7 და 8 ნოემბერს, 5 დეკემბერს და 22 იანვარს.

3. აღნიშნულ სიაში შეტანილ იქნას:

ა) განუწყვეტლივ მომქმედი საწარმოები, რომლებშიაც მუშაობის შეწყვეტა შეუძლებელია საწარმოო-ტექნიკური პირობების ან მოსახლეობის საჭიროების მომსახურების აუცილებლობის გამო;

ბ) საწარმოები, რომლებშიაც სარემონტო სამუშაოები გამოწვეულია გადაუდებელი საწარმოო აუცილებლობით, აგრეთვე დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის მუშაობასთან.

4. სიების შედგენა და დამტკიცება დამთავრდეს 1939 წლის 29 ნოემბრისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1939 წ. ნოემბრის 22. № 2213.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

93. **საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნას დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. **ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. **რუხაძე.**

1939 წ. ნოემბრის 22. № 2215.
თბილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს შესახებ.

I. ზოგადი დებულებანი.

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველო შექმნილია თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 13 მარტის ბრძანებულებისა „სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატის შესახებ“ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 17 ივლისის ბრძანებულებისა „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს შექმნის შესახებ“.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს მიზანს წარმოადგენს:

ა) სამშენებლო მასალებისა და სამშენებლო დეტალების წარმოების ყოველმხრივ გადიდება ადგილობრივი ნედლეულისა და ადგილობრივი სათბობის ბაზაზე;

ბ) საშენ მასალათა მრეწველობის დაახლოვება ნედლეულის წყაროებთან მოხმარების რაიონებში;

გ) საშენ მასალათა და დეტალების მრეწველობის განვითარება საქართველოს სსრ ძირითად ეკონომიურ რაიონებში იმ ოდენობით, რაც სავსებით უზრუნველჰყოფს ამ რაიონების კომპლექტურ მოთხოვნილებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საშინაო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მთავრობათა დადგენილებებით, აგრეთვე სსრ კავშირის საშინაო მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატის ბრძანებებითა და ინსტრუქციებით.

4. საშინაო მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველო ემორჩილება, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სსრ კავშირის საშინაო მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატს.

II. გამგებლობის საგნები.

5. საშინაო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს ეკისრება:

ა) საშინაო მასალათა მრეწველობის პერსპექტიული, წლიური და კვარტალური გეგმების შემუშავება და მათი წარდგენა დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსათვის;

ბ) საშინაო მასალათა რესპუბლიკური ქვემდებარეობის საწარმოების საწარმოო-სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის უშუალო მართვა-გამგებლობა და ხელმძღვანელობის გაწევა საშინაო მასალათა ადგილობრივი ქვემდებარეობის საწარმოებისათვის, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატების, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის, რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების იმ ქალაქების საქალაქო საბჭოების ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებათა მეშვეობით, რომლებიც არ შედიან რაიონების შემადგენლობაში;

გ) კონტროლისა და მეთვალყურეობის გაწევა საშინაო მასალათა მრეწველობის საკავშირო ქვემდებარეობის იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობისადმი, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარეობენ, იმ მხრივ, რომ მათ შეასრულონ სსრ კავშირის საშინაო მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატის გეგმები, ინსტრუქციები და ბრძანებები;

დ) ტექნიკური დახმარების გაწევა საშინაო მასალათა მრეწველობის საწარმოებისათვის, ახალი ტექნიკის (ტექნიკურ გაუმჯობესებათა და გამოგონებათა), ახალი სახის ადგილობრივი ნედლეულისა და მასალების დანერგვა, აგრეთვე ახალი სახის ნაწარმის გამოშვება;

ე) დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა გეგმების, ანგარიშებისა და ბალანსების დამტკიცება და ნაკრები ანგარიშების შედგენა;

ვ) გეგმებისა და ანგარიშების დამტკიცება საშინაო მასალათა ადგილობრივი ქვემდებარეობის მრეწველობის ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით;

ზ) საშინაო მასალათა რესპუბლიკური ქვემდებარეობის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის უშუალო ხელმძღვანელობა და ადგილობრივი ქვემდება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობის საწარმოთა მშენებლობისათვის კონტროლის გაწევა აფხაზეთის და აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატების, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის, რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების იმ ქალაქების საქალაქო საბჭოების ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებათა მეშვეობით, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან;

თ) საშენ მასალათა რესპუბლიკური ქვემდებარეობის მრეწველობის საწარმოებისა და მშენებლობების ტექნიკური და მატერიალური მომარაგების ორგანიზაცია;

ი) საშენ მასალათა რესპუბლიკური ქვემდებარეობის საწარმოების პროდუქციის გასაღების განხორციელება;

კ) უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოების ძირითადი და საბრუნავი სახსრების განაწილება და მანევრირება;

ლ) კაპიტალური მშენებლობის ობიექტთა პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების განხილვა და დამტკიცება;

მ) სტახანოვური მოძრაობის ხელმძღვანელობა, ხელშეწყობა იმისათვის, რომ სტახანოვური მუშაობის საუკეთესო გამოცდილება გავრცელდეს საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებში; შრომისა და ხელფასის ორგანიზაციისა და ნორმირების საკითხების დამუშავება;

ნ) კვალიფიციურ მუშათა კადრების ორგანიზაცია, მომზადება და აღრიცხვა;

ო) საძიებელ და საგამომკვლევო სამუშაოთა წარმოება საშენ მასალათა დამზადების გასაძლიერებლად;

პ) ახალ წარმოებათა და საწარმოთა, სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების მოწყობა დადგენილი წესით, მათი წესდებებისა და დებულებების დამტკიცება, მომქმედი საწარმოების გაფართოება;

ჟ) რესპუბლიკური ქვემდებარეობის საწარმოთა მუშაობის რევიზია და გამოკვლევა.

6. საშენ მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველო მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს განაგებს, თანახმად მომქმედი კანონებისა სამრეწველო სახალხო კომისარიატების მთავარ სამმართველოთა სამეურნეო ანგარიშის უფლებების შესახებ.

III. ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა.

7. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს შემადგენლობაში ეწყობა შემდეგი განყოფილებანი:

ა) ადმინისტრატიულ-სამეურნეო განყოფილება, რომელიც განაგებს ადმინისტრატიულ საკითხებს, აგრეთვე სამმართველოს ტექნიკურ, სამეურნეო და უფლებრივ მომსახურეობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საწარმოო ტექნიკური განყოფილება შემდეგი ჯგუფებით:

1. აგურისა და კრამიტის მრეწველობის ჯგუფი.
2. შემკვრელი მასალებისა და არამადნეული წიაღის მრეწველობის ჯგუფი და
3. კაპიტალური მშენებლობის ჯგუფი.

საწარმოო-ტექნიკური განყოფილება ორგანიზაციულ-ტექნიკურ ხელმძღვანელობას, ტექნიკურ დახმარებასა და ინსტრუქტაჟს უწევს საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებს, კერძოდ: ტექნიკური პროცესის ორგანიზაციას, მის რაციონალიზაციას, მეცნიერების უკანასკნელი მიღწევებისა და მოწინავე საწარმოთა გამოცდილების გამოყენებას წარმოების პრაქტიკაში, პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესებას, თვითღირებულების შემცირებას, მრომის ორგანიზაციათა და ტექნიკურ ნორმირებას.

გარდა ამისა, საწარმოო-ტექტნიკური განყოფილება ხელმძღვანელობას უწევს დაქვემდებარებულ საწარმოთა საპროექტო-სახარჯაღრიცხვო საქმეს, აგრეთვე რესპუბლიკური ქვემდებარეობის მშენებლობას და ანხორციელებს კონტროლს ადგილობრივი ქვემდებარეობის კაპიტალური მშენებლობისადმი;

გ) საგეგმო-საფინანსო განყოფილება ცენტრალური ბუხჰალტერიის ჯგუფით განაგებს წარმოების დაგეგმვის, შრომის, დაფინანსების, თვითღირებულებისა და კაპიტალურ სამუშაოთა საკითხებს; ამოწმებს გეგმების შესრულებას და ინსტრუქტაჟს უწევს საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებს საფინანსო მუშაობაში; ანხორციელებს სტატისტიკურ აღრიცხვას, ანალიზს უკეთებს დამტკიცებული გეგმების შესრულებას და ინსტრუქტაჟს უწევს საწარმოებს სტატისტიკური მუშაობის დარგში; ადგენს საშენ მასალათა მრეწველობის მუშაობის ნაკრებ სტატისტიკურ ანგარიშებს და კონიუნქტურულ მიმოხილვებს, აწყობს რესპუბლიკური ქვემდებარეობის საწარმოთა საბუხპალტრო აღრიცხვასა და ინსტრუქტაჟს; იხილავს დაქვემდებარებულ საწარმოთა ანგარიშებსა და ბალანსებს და ახდენს დოკუმენტალურ რევიზიებს; იხილავს ანგარიშებს საშენ მასალათა ადგილობრივი ქვემდებარეობის მრეწველობის მუშაობის ძირითადი მაჩვენებლების შესახებ;

დ) მომარაგებისა და გასაღების განყოფილება (რომელიც სამეურნეო ანგარიშზე იმყოფება) ადგენს ფონდირებული მასალების ნაკრებ განაცხადებს მთავარ სამმართველოს ხაზით და ამ უკანასკნელის მეშვეობით განაცხადებს ურდგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას; მთავარ სამმართველოსათვის გამოყოფილ ფონდებს, ლიმიტებსა და კონტინგენტებს ანაწილებს დაქვემდებარებულ საწარმოებს შორის, აწვდის მათ ამ ფონდებს და თვალყურს ადევნებს მათ რეალიზაციას; საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ურდგენს ანგარიშებს გამოყოფილი ფონდების რეალიზაციის შესახებ, ხელმძღვანელობას უწევს რესპუბლიკური ქვემდებარეობის საწარმოთა პროდუქციის გასაღებას, სდებს ხელშეკრულებებს გასაღებისა და მომარაგების შესახებ და თვალყურს ადევნებს მათ განხორციელებას; ანხორციელებს დეცენტრალიზებული დამზადების წესით მიღებული მასალების მიწოდებას.

8. საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს სათავეში სდგას უფროსი.

9. მთავარ სამმართველოს უფროსი თავისი კომპენტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და ამოწმებს მათ შესრულებას.

10. მთავარ სამმართველოს უფროსი პასუხისმგებელია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატის წინაშე საქართველოს .სსრ ტერიტორიაზე არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოთა საწარმოო-ტექნიკური და სამეურნეო საქმიანობისათვის.

11. მთავარ სამმართველოს უფროსი დანიშნავს მთავარ სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო და ტექნიკურ ხელმძღვანელებს (დირექტორებს, მათ მოადგილეებს, მთავარ ინჟინრებსა და მთავარ ბუხჰალტრებს).

12. მთავარ სამმართველოს უფროსს უფლება აქვს გააუქმოს, შესცვალოს და შეაჩეროს მთავარ სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ბრძანებანი.

13. მთავარ სამმართველოს უფროსი დაწესებულ ვადებში სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატს წარუდგენს სტატისტიკურ ანგარიშგებას და ოპერატიულ ინფორმაციას საშენ მასალათა მრეწველობის დამტკიცებული გეგმების შესრულების შესახებ, აგრეთვე ამ მრეწველობის ცალკეული დარგების მდგომარეობის ანალიზს.

14. მთავარ სამმართველოს უფროსი, ხელმძღვანელ და ძირეულ მუშაკთა, სტახანოველთა და მუშათა გამოცდილების გამოყენების და კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის მიზნით, იწვევს მთავარ სამმართველოს აქტივს.

15. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოხატულია სახელმწიფო ღერბი და თავისი სახელწოდება.

4
РУСТ 33,35
Г,КС ИМЭЛ
1 12 СП ГР ?

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ა თ ვ ი ს

ფასი 40 კაპ.

გამომცემლობა „კომუნისტი"-ს პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 28

მთავლიტის რწმუნებული № 2312   შეკვ. № 1453   ტირაჟი 2000